ოქტომბერი 2017 №3

# ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

## ძალა პარტნიორობაშია!

საერთაშორისო მრავალეროვნული სწავლებები
“Noble Parner“ და “Agile Spirit“ საქართველოში



გვ. 4

## საქართველომ თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-11 კონფერენციას უმასპინძლა

სტატიაში იხილავთ აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, დეიმონ ვილსონისა და ფინეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი მრჩევლის, შარლოტა ქოლენის ინტერვიუებს.




გვ. 2

## დაუმარცხებელთა თამაშების ქართველი გმირები



გვ. 6



## ღირსეული პასუხი ჰიბრიდულ გამოწვევებს

გვ. 10

## საერთაშორისო დონის განათლება და სწავლის სრული დაფინანსება თავდაცვის სამინისტროს მიერ !

გვ. 9



## გახდი კადეტი!

გვ. 8

## სამხედრო განათლების კუთხით საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციაზეა

ინტერვიუ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარ სერჟანტ, კობა ცირეკიძესთან



გვ. 5

## მიღება საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში

გვ. 11

# საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-11 კონფერენციას უმასპინძლა

სტატიაში იხილავთ აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, დეიმონ ვილსონისა და ფინეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი მრჩევლის, შარლოტა ქოლენის ინტერვიუებს.

„თავდაცვის სამინისტრომ, მინისტრის ხელმძღვანელობით, ფუნდამენტური რეფორმები განახორციელა. ეს რეფორმები ნამდვილად ძალიან წარმატებულია. ჩვენ კი ჩვენი მხრივ, ძალისხმევას არ დავიშურებთ ხელი შევუწყოთ ამ პროცესებს“. - ასეთია ნატოს გენერალური მდივნის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სპეციალური წარმომადგენელის, ჯეიმს აპატურაის კომენტარი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გატარებული რეფორმების შესახებ.




ასეთი იყო საერთაშორისო მეგობრებისა თუ სტრატეგიული პარტნიორების განწყობაც: საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი... მანამდე კი ის ძირითადი მიმართულებები რაც ამ ეტაპზე ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების განვითარებისა და მდგრადობისთვის არის მნიშვნელოვანი, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-11 კონფერენციაზე განიხილეს. კონფერენცია (GDSC) ქ. ბათუმში, 12 ოქტომბერს, სასტუმრო ჰილტონში გაიხსნა. კონფერენცია საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გახსნა.

მინისტრის შემდეგ, მონაწილეებს სიტყვით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ მიმართეს. **ნატო ვარშავის სამიტის შემდეგ, ტოტალური თავდაცვა, ჰიბრიდული და ასიმეტრიული საფრთხეები, ევროპული უსაფრთხოების მომავალი და ცვალებადი უსაფრთხოების გარემო შავი ზღვის რეგიონში** - წლევანდელი საერთაშორისო ფორუმის 5 ძირითადი თემა ადგილობრივმა და საერთაშორისო მაღალი რანგის წარმომადგენლება, ექსპერტებმა და სამთავრობო პირებმა მიმოიხილეს. რიგით მე-11 კონფერენციაზე გამომსვლელებს შორის იყვნენ ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მეთაური, გენერალი ჯონ ნიკოლსონი, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯეიმს აპატურაი, ლატვიის თავდაცვის მინისტრი რაიმონდს ბერგმანისი, თურქეთის თავდაცვის მინისტრი ნურეთინ ჯანიქლი, ამერიკის თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილე მაიკლ კარპენტერი, კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარი ლინკოლნ მიტჩელი, აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები და სხვა.

თემაზე “ნატო ვარშავის სამიტის შემდეგ” ჩვენ აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს დეიმონ ვილსონს ვესაუბრეთ:

***

***- ბატონო ვილსონ როგორ შეაფასებთ რიგით მე-11 საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის კონცეფციას?***

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს თავდაცვისა და უსაფრთხოების თემების გარშემო აერთიანებს. ეს არ არის მხოლოდ მსჯელობის პროცესი, აქ ხდება საზოგადოების გაერთიანება იმ იდეის გარშემო, რომ საქართველო გახდება დასავლეთის ნაწილი და ალიანსის წევრი.

***- რა შეიცვალა ნატოს ვარშავის სამიტის შემდეგ რეგიონისთვის, რა პერსპექტივებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას დღეს საქართველო?***

ვარშავის სამიტი გადამწყვეტი იყო ალიანსისთვის, რადგანაც მან დაარწმუნა ალიანსი, რომ საჭიროა მეტი






ფოკუსირება უსაფრთხოებასა და რუსეთის აგრესიაზე. აგრეთვე მეტად მნიშნელოვანია დარწმუნების პოლიტიკიდან შეკავების პოლიტიკაზე გადასვლა. დღეს საქართველოს სწორედ ეს სჭირდება. საქართველო დამოკიდებულია იმაზე, რომ ალიანსი დარჩეს სანდო პარტნიორად და შეაკავოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები.



ალიანსის ყოფნა ბალტიისპირა ქვეყნებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებებისა და მიდგომების წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა, რაც შემდგომში შესაძლოა საქართველოშიც იქნას გამოყენებული.

***- ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ქვეყნის თავდაცვისა და მდგრადობის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებისთვის. ამ კუთხით, როგორ შეაფასებთ საქართველოს პროგრესს?***

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ავღანეთის მისიაში ალიანსის მხარდასაჭერად, რაც მნიშვნელოვანია როგორც მათი თავდადების, ასევე ქვეყნის წარმოჩენის თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ ჩვენი გენერალი, ჯონ ნიკოლსონი მეტად კმაყოფილია საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ჯარისკაცების საქმიანობით ავღანეთში. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ რაც მართლაც მნიშვნელოვანია რეფორმების პროცესის პარალელურად არის ის, რომ მკვეთრი ფოკუსი გაკეთდეს საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის მშენებლობაზე. მოხარული ვარ თავდაცვის მინისტრის საუბრით მოსახლეობის მზადყოფნასა და საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რესურსების ადეკვატური გადანაწილება.

***- „ნატოს ღია კარის პოლიტიკა“ გრძელდება. თუმცა, მინდა აღვნიშნო რომ საქართველოში ბევრი მიიჩნევს, რომ ჩვენთვის ეს პროცესი ჭიანურდება. რაც რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას რეგიონში უფროააქტიურებს. თქვენი აზრით, შეუწყობს თუ არა ხელს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის დაჩქარება რუსეთის შეკავების პოლიტიკას?***

ალიანსისა და საქართველოს თანამშრომლობა ცხადყოფს, რომ ერთმანეთის მხარდამხარ არიან. თუ კი ალიანსის მე-5 მუხლი ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოშიც გავრცელდება, მიუხედავად იმისა, ის იმუშავებს თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაინც შეძლებს დაასტაბილუროს რუსეთთან ურთიერთობა.

ღონისძიების მეორე ნაწილში ტოტალური თავდაცვის კონცეპტუალურ პრინციპებზე, მიზნებსა და გამოწვევებზე სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება განიხილეს. თავდაცვის უწყებას მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია წარმოადგენდნენ. ლელა ჩიქოვანმა კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია გააცნო, რომელიც 4 - ფსიქოლოგიური, სამხედრო, სამოქალაქო და ეკონომიკური ელემენტებისგან შედგება. **მისი განცხადებით, ტოტალური თავდაცვის ძირითადი საფუძველი უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმია, რაც არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიან გადანაწილებას უზრუნველყოფს.** ახალი კონცეფციის შემუშავებისას მან ყურადღება სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან მიღებულ გამოცდილებაზე გაამახვილა.

***

გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩვენ მეორე პანელის გამომსვლელს, ფინეთის თავდაცვის სამინისტროს უფროს მრჩეველს თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში, შარლოტა ქოლენს ვესაუბრეთ. რესპონდენტმა ტოტალური თავდაცვის შვედურ მოდელზე ისაუბრა, რომელიც მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის და მოქალაქეების მჭიდრო თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. მისი განცხადებით, ტოტალური თავდაცვის მიდგომა ფინეთის პასუხია, ჰიბრიდული გამოწვევების წინააღმდეგ.

**- ქალბატონო ქოლენ პირველ რიგში როგორ შეაფასებთ აღნიშნულ მოვლენას (GDSC2017) და რა პოზიტიური ნაბიჯების გადადგმაში ეხმარება კონფერენცია საქართველოს?**

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველად ვესწრები აღნიშნულ კონფერენციას და დარწმუნებული არ ვარ, რომ ფინეთს აქამდე მონაწილეობა მიუღია მასში. ვფიქრობ, რომ ეს კარგი ნაბიჯია ჩვენი თანამშრომლობის კუთხით და შთამბეჭდავად ვართ წარმოდგენილნი. ძალიან საინტერესოა, როდესაც ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი სწორედ აქ ხვდებიან ერთმანეთს. საქართველოს უნიკალური პროფილი აქვს. მიმაჩნია, რომ ამ კონფერენციის საუკეთესო შენაძენი არის პარტნიორებისგან მიღებული საუკეთესო გამოცდილება და სხვადასხვა მხარეებთან თავდაცვითი თანამშრომლობის გაძლიერება.

***- ქალბატონო ქოლენ რას გულისხმობს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია და როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ტოტალური თავდაცვა უსაფრთხოების გარანტი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა?***

ვფიქრობ, რომ „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპი და რეფორმები, რომელსაც თქვენ ახორციელებდით და ახორციელებთ უმნიშვნელოვანესია თქვენი ქვეყნის მდგრადობის გაძლიერებისათვის. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეუჩერებლად ვცდილობდით გაგვეფართოვებინა ტოტალური თავდაცვის იდეა, რათა მოეცვა ყოვლისმომცველი უსაფრთხოება. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ კერძო სექტორის და მესამე სექტორის მნიშვნელობას, რათა ვაჩვენოთ, რომ თითოეულ მათგანს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. სწორედ აქ ხდება ჩვენი იდეების თანხვედრა, რაც თითოეული მოქალაქის ქვეყნის შენების პროცესში ჩართულობას გულიხმობს. ვფიქრობ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია „ომის“ წარმოების ახალი ფორმატის პირობებში. როგორც ვიცით, დღეს საზოგადოებაზე გავლენების მოსაპოვებლად აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო ომი, კიბერ შეტევები. ამის საპასუხოდ შეუძლებელია სამხედრო ტექნიკის ან სხვა კინეტიკური საშუალებების გამოყენება. ვინაიდან, ომმა ასე იცვალა სახე, ქვეყნის თავდაცვის პროცესში, შეუძლებელია წარმატების მიღწევა, თუ მასში თითოეული მოქალაქე არ იქნება ჩართული.




***- ქალბატონო ქოლენ ძლიერი ორმხრივი კავშირები და სტაბილური პარტნიორობა მნიშნელოვან როლს ასრულებს საერთო გამოწვევებთან ბრძოლაში. ამ კუთხით მეტად მნიშნელოვანია თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. როგორია ტოტალური თავდაცვის ფინური პრაქტიკა?***

ჩემი რჩევაა, ქვეყნის სასარგებლოდ თქვენი საზოგადოების გაერთიანება ერთი დროშის ქვეშ. მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სამხედრო სამსახურის ან შეიარაღებული ძალების გაძლიერება, არამედ თავად საზოგადოების. ხალხმა უნდა იცოდეს მიზანი, რომ ამ ფორმით ისინი ქვეყნის, საფრთხეების კვალდაკვალ, თავდაცვასა და უსაფრთოებას აძლიერებენ.

*საერთაშორისო ფორუმის მესამე პანელი უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების განხილვას დაეთმო. მონაწილეებმა ჰიბრიდული ომის საფრთხეებისა და მასთან გამკლავების მექანიზმებზე იმსჯელეს. ევროპული უსაფრთხოების მომავალზე საუბარს დაეთმო საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მეოთხე პანელი. მომხსენებლები შეთანხმდნენ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ეკონომიკის გაძლიერება, ასევე საერთო ხედვისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება ევროპის უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს. ძლიერი ევროკავშირი კი, ევროპისა და მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოების გარანტიაა. შავი ზღვის აუზის გაძლიერებაში დღეს საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ბოლო პანელი სწორედ აღნიშნულ თემას დაეთმო. სესიის მომხსენებლები შეთანხმდნენ, რომ ნატოს გაძლიერება შავი ზღვის აუზში რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს.*

# ძალა პარტნიორობაშია!

## საქართველოში მრავალეროვნული საერთაშორისო სწავლებები - “Noble Parner 2017” და “Agile Spirit 2017” წარმატებით დასრულდა









სტაბილურობა, თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, ნატოს პარტნიორ ქვეყნებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება და გაღრმავება - ეს არის საერთაშორისო სწავლებების ძირითადი მიზანი, რომელიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების განვითარებას ემსახურება.
2017 წლის ზაფხული შეიარაღებული ძალებისთვის ამ მიმართულებით საკმაოდ მრავალფეროვანი და აქტიური იყო. საქართველომ მრავალეროვნულ სწავლებებს „Noble Partner 2017” -ს“ და „Agile Spirit-ს“ უმასპინძლა. 30 ივლისს მრავალეროვნული სწავლება, საზეიმოდ, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ოფიციალურად გაიხსნა, 12 აგვისტოს კი სწავლების აქტიური ფაზა ვაზიანის მე-11 სასროლეთზე საჩვენებელი წვრთნით დასრულდა.

წელს მრავალეროვნული სწავლების „Noble Partner 2017-ის“ მთავარი გზავნილი იყო „ძალა პარტნიორობაშია“. სწავლების ძირითადი გზავნილი, როგორც სწავლების სახელს, ასევე მის შინაარს ზედმიწევნით ამართლებს. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე სწავლების მასშტაბები იზრდება და პარტნიორთა რიგებს სხვადასხვა ქვეყნები ემატება. წლევანდელ სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყანა მონაწილეობდა: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, სლოვენია, სომხეთი და უკრაინა.

„Noble Partner 2017“ აშშ-ის ევროპული სარდლობის შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე სწავლებების ციკლის ნაწილია, რომელიც 7 ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ტარდება.



აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლება, ნატოს რეაგირების ძალების (NRF) საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდა და ღ - ში მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის გაღრმავება - მრავალეროვნულმა სწავლებამ თავისი მისია ნამდვილად შეასრულა! 2800-ზე მეტმა სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურემ სწავლების განმავლობაში ერთობლივად და შეთანხმებულად იმუშავა.

ნატოს რეაგირების ძალების შემადგენლობაში ერთობლივ ოპერაციებში ან კრიზისებზე რეაგირებისათვის მზადყოფნა, სწავლებაში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს შორის ტაქტიკურ დონეზე ურთიერთქმედებების გაუმჯობესება, ქვეითი და მე-



ქანიზირებული ქვედანაყოფების შერწყმა, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთანამშრომლობის დახვეწა - ასეთია მრავალეროვნული სწავლება „ გილე შპირიტ 2017-ის“ მნიშვნელობა, მისია და მიზანი, რომელმაც წელს ორფოლოს პოლიგონზე 1500-მდე სხვადასხვა ქვეყნის (საქართველო, აშშ, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, ლატვა და აზერბაიჯანი) სამხედრო მოსამსახურე გააერთიანა.

**საერთაშორისო სწავლებებთან დაკავშირებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდალს, გენერალ, შავლეგო ტაბატაძეს ვესაუბრეთ...**

***ბატონო გენერალო, რას გვეტყვით საერთაშორისო სწავლებების მნიშვნელობაზე?***

საერთაშორისო სწავლებებს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის ძალიან დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიღებთ უდიდეს გამოცდილებას, როგორც ურთიერთდამოკიდებულებისა და თავსებადობის თვალსაზრისით, აგრეთვე მართვისა და კონტროლის საკითხებში. ამ ტიპის სწავლებები ხელს უწყობს, ზოგადად, შეიარაღებული ძალების განვითარებას და როგორც უკვე აღვნიშნე, მართვისა და კონტროლის გაუმჯობესებას; სერჟანტთა კორპუსის, ოფიცერთა კორპუსის გაუმჯობესებასა და განვითარებას. სწავლების პროცესში, როგორც სამეთაურო რგოლი, აგრეთვე თითოეული ჯარისკაცი ურთიერთთავსებადი ხდება სხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურესთან, ამ დროს ერთობლივი გადაწყვეტილებები მიიღება. რაც ყველაზე მთავარია, ასეთი სწავლებები უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ნატოში გაწევრიანების გზაზე.

***ბატონო გენერალო, რას გვეტყვით „Noble Partner 2017-ზე“? როგორ შეაფასებთ აღნიშნული სწავლების წლევანდელ სეზონს?***

„ღირსეული პარტნიორი 2017“ საქართველოში წელს მესამედ ჩატარდა. სწავლების სცენარი სტაბილურობის ოპერაციებს, შეტევას და თავდაცვით ოპერაციებს ემსახურებოდა.
დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა დაგეგმვის ფაზა, შემდგომ იყო აღსრულების პერიოდი, პრაქტიკული ფაზა, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა.

სწავლების ხელმძღვანელი იყო ქართული მხარე. წელს მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა, როგორც მონაწილე ჯარისკაცების რაოდენობის, აგრეთვე ჯავშანტექნიკის ჩართვის თვალსაზრისით. ჩართული იყო 500-მდე სხვადასხვა სახის ჯავშანტექნიკა, სხვადასხვა სახის შეიარაღება და 10 ერთეული საფრენი აპარატი.
მასშტაბების ზრდამ განაპირობა ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება, მაგალითად, წელს ავითვისეთ ისეთი მასშტაბის საწვრთნელი ველები, რომლებიც აქამდე ათვისებული არ გვქონდა. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან თითოეული სწავლება განვითარებისკენ გვიბიძგებს.

***ბატონო გენერალო, ვიცით, რომ „Agile Spirit 2017“ უშუალოდ დასავლეთ სარდლობის ხელმძღვანელობით ჩატარდა, თუმცა მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება აღნიშნულ სწავლებასთან დაკავშირებით.***

აქ მასშტაბები შედარებით მცირე იყო, თუმცა სწავლების მიზანი აქაც სტაბილურობას, შეტევას და თავდაცვით ოპერაციებს უკავშირდება. აგრეთვე ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში, ერთობლივ ოპერაციებში, ან კრიზისებზე რეაგირებისთვის მზადყოფნას ემყარება.

ცნობილია, რომ “Noble Partner 2017-ის“ ავტოტექნიკის და პირადი შემადგენლობის გადმოსროლა როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო გზით მოხდა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის დედაქალაქში მიმავალ უცხოურ სამხედრო ტექნიკას მოსახლეობა შეძახილებითა და საზეიმო განწყობით ხვდებოდა.

# სამხედრო განათლების კუთხით საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციაზეა

## ინტერვიუ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარ სერჟანტ, კობა ცირეკიძესთან







კობა ცირეკიძე შეიარაღებული ძალების, გენერალური შტაბის მთავარი სერჟანტია. 1978 წლის 28 სექტემბერს, ქალაქ ტყიბულში დაბადებულმა სერჟანტმა, სკოლის დამთავრების შემდეგ ინჟინერ ეკონომისტის სპეციალობით განვითარება გადაწყვიტა, თუმცა გადაწყვეტილება მალე შეცვალა და ცხოვრება შეიარაღებულ ძალებს დაუკავშირა.

თუ კი წარმოსახვაში განათლებულ, პროფესიონალ ჯარისკაცს წარმოიდგენთ, სერჟანტი კობა ცირეკიძე ამის საუკეთესო მაგალითია. შრომისმოყვარეობით, განათლებით, განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვით, უამრავი მიზნითა და უსაზღვრო მოტივაციით, რომელიც, ერთი მხრივ, პირადი, პროფესიული წინსვლისა და, მეორე მხრივ, საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებას ემსახურება.

ჯერ იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომელმაც მას საკონტრაქტო სამსახურისკენ უბიძგა და სწორედ ასე მოხვდა „კომანდოს“ ბატალიონში, რომელიც იმ პერიოდში, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი, პროფესიულად განვითარებული ჯარისკაცებით დაკომპლექტებული ბატალიონის სახელს ატარებდა. ამბობს, რომ სირთულეების მიუხედავად, სწორედ ამ გამოწვევემა მოხიბლა...

„ეს იყო პირველი წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელმაც შეიარაღებული ძალების განვითარებას შეუწყო ხელი. ჩვენს სერტიფიკატზე, რომელიც ამ სწავლების შემდეგ გვაქვს აღებული, წაიკითხავთ: „თქვენ წარმოადგენთ თქვენი შეიარაღებული ძალების მომავალს“. რეალურად, ეს ასეც მოხდა. ამ ოთხმა ბატალიონმა, რომელიც მაშინ შეიქმნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო პროფესიული სამსახურის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი“ - აღნიშნავს სერჟანტი.

***გაგიჭირდათ სამოქალაქო ცხოვრებიდან სამხედრო ცხოვრებაზე გადასვლა ?***

კი, გამიჭირდა... აქ საუბარია იმაზე, რომ შენ მარტო აღარ ხარ და ერთი მთლიანის ნაწილი ხარ. ჯარი მთლიანი ორგანიზმია. პასუხისმგებელი ხარ არა მხოლოდ შენი თავის, არამედ მთელი დანაყოფის სახელით. ეს აქსიომაა - თუ ჯარი არ არის ერთი სხეული, ის წარმატებას ვერ მიაღწევს. ჯარის პრინციპებმა,



ცხოვრების სტილმა, უდიდესი გამოცდილება შემძინა, სიძნელეების გადალახვამ კი საკუთარ თავში დამაჯერა, მთავარია მოტივაცია და თვითგანვითარების სურვილი.

დიახ, გამიჭირდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ გადავლახე“.

კობა ცირეკიძე აღნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურისთვის განათლება და პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია. ეს მისი მაგალითითაც კარგად სჩანს. სერჟანტმა სხვადასხვა სახის პროფესიული კურსები ჯერ საქართველოში გაიარა, მათ შორის სერჟანტთა მომზადების სკოლაში, შემდეგ კი, რაც უცხოეთში განათლების მიღება და კვალიფიკაცია ნელ-ნელა აუცილებელი და აქტუალური ხდებოდა, ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო.

2007 წელს იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საზღვაო ქვეითების სასწავლებელში, საბრძოლო ქვეითი ათეულის მეთაურის კურსზე - ჩრდილოეთ კაროლინაში. შემდეგ იყო ოცეულის სერჟანტის კურსი, ესეც საზღვაო ქვეითების სასწავლებელში. 2010 წელს კობა ცირეკიძე აშშ-ში, ტეხასში, სერჟანტთა მთავარ აკადემიაში ირიცხება.

„ეს ბოლო კურსია ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რაც კი სერჟანტს კარიერული წინსვლისა და განვითარებისთვის სჭირდება, საბედნიეროდ, მხვდა პატივი, გამევლო და ამის შესაძლებლობა სწორედ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მომცა.“

რას ურჩევთ ჯარისკაცებს, რომლებიც დღეს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებიან და პროფესიული განვითარება სურთ?

„როდესაც ჩემი ქვედანაყოფი იქმნებოდა, კონკურენცია ძალიან მაღალი იყო, არა მხოლოდ სამეთაურო თანამდებობებზე, არამედ, დიდი რაოდენობით მსურველის გამო, ქვედანაყოფში მოხვედრაზე. შერჩევის კრიტერიუმებიც, შესაბამისად, ძალიან მკაცრი იყო. ამით იმის თქმა მსურს, რომ ყველაფერი დაკავშირებული არის დისციპლინასთან და, რა თქმა უნდა, იმის სურვილთან, რომ საკუთარ თავზე იმუშაო, თვითგანვითარებაზე იფიქრო. შემდგომში ეს ხელმძღვანელობის მხრიდან აუცილებლად იქნება დანახული. უცხოეთში კურსზე წასვლა ნიშნავს, რომ სახელმწიფო შენში ერთგვარ ინვესტიციას დებს. ვალდებული ხარ, დაბრუნების შემდეგ ცოდნა განავითარო და ქართულ შეიარაღებულ ძალებს მოახმარო, გადასცე იმ თაობას, რომელიც შენ შემდეგ მოდის.“

სერჟანტი აღნიშნავს, რომ დღეს პრიორიტეტი განათლებაა. შეიარაღებულ ძალებში დაწყებული ძვრები და რეფორმები კი ზუსტად ამას ეხმიანება. „ქართულ შეიარაღებულ ძალებს, უახლოეს მომავალში, სრულად კვალიფიციური და განათლებული პირადი შემადგენლობა ეყოლება. დღეს, ჩვენ გვაქვს სისტემა, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც სურს ჯარისკაცი გახდეს, აძლევს განათლებისა და განვითარების შესაძლებლობას. მაგალითად, ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც მთელს რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა, ასევე კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; შეიარაღებულ ძალებში უკვე ჩარიცხულთათვის კი წარმატებით მუშაობს სერჟანტთა მომზადების ცენტრი, სადაც, ამ ეტაპზე, ათეულის მეთაურის, ოცეულისა და ასეულის სერჟანტის კურსები ფუნქციონირებს. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა - საქართველო, სამხედრო განათლების კუთხით, რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა.“

... კობა ცირეკიძემ ზუსტად იცის, რომ მისი შვილი, მამის წარმატებულ მაგალითზე, ღირსეულ გზას აუცილებლად განაგრძობს, სულ მალე კი კადეტთა სამხედრო ლიცეუმში, კადეტთა რიგებსაც შეურთდება. სურვილი აქვს რომ მფრინავი გამოვიდეს...

# დაუმარცხებელთა თამაშების ქართველი გმირები

## დაჭრილმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედალი მოიპოვეს




„თავადაც ვერ წარმოვიდგენდი იმ მასშტაბს, რისი მოწმენიც გავხდით თამაშებზე. გაგაფრთხილეთ, ყოფილიყავით მზად კონკურენციისთვის, თუმცა არცერთი ჩვენგანი ელოდა, რომ ქართველების გუნდი, რომელსაც სამი წლის წინ მჯდომარე ფრენბურთში თამაშის გამოცდილება არც კი ჰქონდა, ოქროს მედალს მოიპოვებდა“, - ამ სიტყვებით მიმართა დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ „ძლიერთა თამაშების“ (Invictus Games) მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს.

საქართველოს სახელმწიფო დროშა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებულმა ქართველმა სამხედროებმა აღმართეს. კანადაში მიმდინარე „ძლიერთა თამაშებში“ დაჭრილმა ქართველმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლები მოიპოვეს. დაძაბულ, ფინალურ შეხვედრაზე ქართველი სამხედროების ნაკრები გაერთიანებული სამეფოს გუნდს დაუპირისპირდა და გამარჯვება მოიპოვა. Invictus Games-ის გამარჯვებულ ქართველ სამხედროებს ოქროს მედლები დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ პირადად გადასცა.

„ჩვენმა ფრენბურთის გუნდმა შეუძლებელი შეძლო. ამ ბიჭებმა მაქსიმალურად ივარჯიშეს, შრომა ჩადეს და შედეგიც მიიღეს“ - გვეუბნება 2011 წელს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს მძიმედ დაჭრილი სამხედრო, კაპრალ-სპეციალისტი თემურ დადიანი. ჩვენთან საუბრისას, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაშავებულმა სამხედრომ, კაპიტანმა რომან აბაშიძემ პრინც ჰარის ქართული გუნდისადმი განსაკუთრებული გულშემატკივრობა აღნიშნა - „თამაშის პირველივე დღეებში ვაჩვენეთ, რომ საქართველო ფავორიტია. დღის ბოლოს პრინცი ჰარი მოვიდა და გვითხრა - ჩემებთან არ გამამხილოთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პირველი ადგილი თქვენ გეკუთვნითო“. მჯდომარე ფრენბურთის გუნდის კაპიტანი, მაიორი ბესარიონ ღუდუშაური კი, გამარჯვების სხვა მოტივატორების შესახებ გვიყვება - „9 ოქროს მედალი ჩამოვიტანეთ. დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს რეაბილიტაციის პერიოდში თავდაცვის მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. კანადაში ჩასვლისთანავე მინისტრმა პირველ მოადგილესა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან ერთად ჩამოგვაკითხა, რაც უდიდესი მოტივაცია იყო. როცა გავიმარჯვეთ, მინისტრმა ლიტვიდან დაგვირეკა და მოგვილოცა, ჩვენს თამაშს პირდაპირ ეთერში უყურებდა... ეს იყო წარმოუდგენელი სიამაყის გრძნობა. ტორონტოში ჩვენ ვიყავით საკმაოდ ძლიერები, რადგან ოჯახის წევრებიც გვახლდნენ. ერთი მხრიდან ჩვენი ოჯახის წევრები გვგულშემატკივრობდნენ და როცა მათ შეემატა ქართული ხმა, კანადაში ქართული დიასპორის სახით, ნახევარი დარბაზი ჩვენი იყო. მათმა გულშემატკივრობამ ნეიტრალური მხარდამჭერებიც აიყოლია“.

მაიორ ბესარიონ ღუდუშაურის მსგავსად, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ შეყელაშვილიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაშავდა. ოფიცერი იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც ქართველმა სამხედროებმა „ძლიერთა თამაშებში“ მონაწილეობა პირველად მიიღეს და იქ მჯდომარე ფრენბურთის სახეობას გაეცნენ - „2014 წელს პირველი ჯგუფი შეიკრიბა დაჭრილი სამხედროების, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩაერთნენ. პირველი წარმატებული შეჯიბრი ამერიკაში გვქონდა. მჯდომარე ფრენბურთი იქ ვნახეთ. მახსოვს, ბიჭები როგორი მოტივირებულები იყვნენ, რომ სპორტის ეს სახეობა გადმოგვეღო. მჯდომარე ფრენბურთის სახეობაში პირველად 2014 წლის შემოდგომაზე ლონდონში ჩატარებულ „ძლიერთა თამაშებში“ ვიასპარეზეთ. ამერიკის, ინგლისის, გერმანიისა და სხვა დიდი ქვეყნების გამოცდილ გუნდებს შორის, მაშინ საქართველომ მე-4 ადგილი დაიკავა“.

დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციისათვის სპორტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. თითოეულ მათგანს საბრძოლო ტრავმამდე სპორტის სხვადასხვა სახეობა იზიდავდა. მაიორი ღუდუშაური საქართველოს კალათბურთის ეროვნული ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ვიცე-პოლკოვნიკი შეყელაშვილი და კაპიტანი აბაშიძე ფიზიკური მომზადების ინდივიდუალური სახეობებით იყვნენ გატაცებული. ჩვენს რესპონდენტებს შორის განსაკუთრებული შემთხვევა კაპრალ-სპეციალისტი დადიანია... და აი, რატომ – „სპორტი ბავშვობიდან მიზიდავდა. სულ ვვარჯიშობდი, სულ ვემზადებოდი რაღაცისთვის. აღმოჩნდა, რომ ჩემი სულიერი სიმტკიცისთვის ვემზადებოდი“ - გვეუბნება სამხედრო, რომელსაც უმძიმესი
















ტრავმა აქვს მიღებული და მიუხედავად ამისა, წარმატებულია სპორტის სხვადასხვა სახეობაში: მკლავჭიდი, ველოსპორტი, აზიდვები-ფლენჩის სახეობა, ფარიკაობა; სურვილი აქვს იასპარეზოს ზამთრის თხილამურებით სრიალში; არის გინესის ორგზის რეკორდსმენი აზიდვებში-ფლენჩის სახეობა, ორჯერ გააუმჯობესა საკუთარი შედეგი. სამგზის საქართველოს ჩემპიონი ფარიკაობაში და ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი (ვერცხლი და ბრინჯაო) მკლავჭიდში; 2013 წელს ლოს-ანჯელესში გამართულ ველოსპორტის ტურნირში 22000 მონაწილეს შორის მე-6 ადგილი დაიკავა. სპორტული გამარჯვებებით დადიანი საზოგადოებას საკუთარ სათქმელს ეუბნება - „ყველამ უნდა იფიქროს, რომ ამ ერთი ტრაგედიით ცხოვრება არ დამთავრებულა, იწყება მეორე ცხოვრება... რაკი, ღმერთმა გადამარჩინა, რაღაც მისია მაკისრია. ეს მისია უნდა შეასრულო ბოლომდე! ასეა თუ ისე, ჯარისკაცი მუდამ ჯარისკაცად რჩება!“

ასეთი გაუტეხელი სულის ხალხია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მყოფი დაშავებული სამხედროები - დაუმარცხებელი მებრძოლები. მათი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის თავდაცვის უწყება სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. თავდაცვის სამინისტროში რამდენიმე წელია სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი ფუნქციონირებს. სტრუქტურა სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. დაშავებული სამხედროებისათვის შესაბამისი პირობები და ინფრასტრუქტურაა შექმნილი. დაჭრილ ჯარისკაცებსა და მათი ოჯახის წევრებს წეროვანის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრი საუკეთესო პირობებს სთავაზობს. თავდაცვის უწყების პრიორიტეტი დაშავებული სამხედროებისათვის სათანადო სოციალური და სამედიცინო პირობების შექმნაა.

დაუმარცხებელი მებრძოლები შეიარაღებულ ძალებში, ძირითადად, საშტაბო საქმიანობას ეწევიან, ცოდნასა და გამოცდილებას მომავალ თაობებს უზიარებენ. „მოვუწოდებდი ბიჭებს, ვისაც შეუძლია შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდნენ და საკუთარი გამოცდილება მომავალ თაობებს გადასცენ. ეს აუცილებელია მათთვის, ვინც მომავალში ჩვენი ადგილი უნდა დაიკავოს, მათი დასაცავია ჩვენი სამშობლო!“ - მიიჩნევს ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ შეყელაშვილი. ისინი სამაგალითონი არიან არა მარტო მომავალი თაობისთვის, არამედ თანამებრძოლებისთვისაც. თემურ დადიანის აზრით, დაშავებულ სამხედროებს ყველაზე მეტად ამ დიდი ტრავმის მიუხედავად, სულიერი და ფიზიკური ტკივილის შემდეგ, ფეხზე წამოდგომა და საკუთარი ქვეყნის დროშის აღმართვა ეამაყებათ. „სახელმწიფო დროშის აღმართვისას სამხედრო მოსამსახურის სულიერი სიმტკიცეც მაღლდება“, - გვიზიარებს გამარჯვების ემოციას კაპრალ-სპეციალისტი.
კანადიდან დაბრუნებულ სამხედროებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია დახვდა, წარმატებით ასპარეზობა მიულოცა და საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელის კიდევ ერთხელ გატანისთვის მადლობა გადაუხადა. აეროპორტში უწყების სხვა ოფიციალური პირები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სამხედროების თანამებრძოლებიც იმყოფებოდნენ. მოგვიანებით, თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ დაშავებული სამხედროებისთვის ოფიციალური მიღება და დაჯილდოებაც გაიმართა.

დაშავებული სამხედროებით დაკომპლექტებულმა 15-კაციანმა გუნდმა კანადაში გამართულ „ძლიერთა თამაშებში“ სპორტის 6 სახეობაში იასპარეზა: ველორბოლა, ცურვა, წოლჭიმი, მშვილდით სროლა, ავტორბოლა, მჯდომარე ფრენბურთი. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები გაერთიანებული სამეფოს პრინცის, მისი აღმატებულება პრინც ჰარის პატრონაჟით გამართულ „ძლიერთა თამაშებში” უკვე მესამედ მონაწილეობენ.

“Georgia Make History” ამ სიტყვებით გამოეხმაურა Iნვიცტუს ამეს-ის საზოგადოება ქართველი მონაწილეების გამარჯვებას. ქართველი დაუმარცხებელი მებრძოლების მსოფლიო დონის სპორტულ ასპარეზობაში წარმატებებს ჩვენც ასე ვასათაურებთ - საქართველოს დაშავებული სამხედროების გუნდმა ისტორია შექმნა!

# გახდი კადეტი!

## კადეტთა სამხედრო ლიცეუმი რეგიონში ერთადერთი სასწავლო დაწესებულება, რომელიც საშუალო საფეხურზე სრული დაფინანსებით ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას.






საქართველოს სამხედრო განათლების პირველი საფეხური გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმია. რეგიონში ერთადერთი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას საშუალო საფეხურზე. იგი დაფუძნდა 2010 წელს, ქალაქ ქუთაისში, 2014 წელს კი, მიენიჭა „გენერალ გიორგი კვინიტაძის“ სახელი. გახსნის დღიდან 2017 წლამდე ლიცეუმს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ალექსი კეკელია, ხოლო 2017 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი შალვა ძინძიბაძე.
ლიცეუმის მიზანია აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღი-

**სასწავლებელში კონკურსის წესით მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულების მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ საბაზო საფეხურს ანუ ცხრა კლასს.**

რებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოუყალიბოს კადეტებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, კულ-

ტურულ ფასეულობათა პატივისცემა. დღეისათვის ლიცეუმი ინფრასტრუქტურითა და სწავლების დონით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

**ლიცეუმი წარმოადგენს პანსიონს, რომელიც უსასყიდლოდ უზრუნველყოფს კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებით, კვებით, შესაბამისი აღჭურვილობით, სანივთე ქონებითა და სასწავლო საგნებით.**

ლიცეუმის მიზანია აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოუყალიბოს კადეტებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. დღეისათვის ლიცეუმი ინფრასტრუქტურითა და სწავლების დონით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

მიღწეულმა წარმატებებმა საგრძნობლად გაზარდა ლიცეუმისადმი ინ-

**თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ადმინისტრაციული, სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები, სასადილო, ლაზარეთი, ინტერნეტისა და ინფორმატიკის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, დახურული და ღია სპორტული მოედნები, ავტოპარკი, ვიდეო-სათვალთვალო კამერები.**

ტერესი კადეტთა სამხედრო, რაც გამოიხატა ჩარიცხვის მსურველთა კონტინგენტის ზრდით. თავდაპირველად ლიცეუმში მიიღებოდნენ მხოლოდ ვაჟები.

კონკურსანტებს ლიცეუმში მოსახვედრად უწევთ სამი საფეხურის გავლა. ესაა ზოგადი უნარების ტესტი, ზიფიკური ტესტი და სამედიცინო შემოწმება.

ლიცეუმში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმისა და სამხედრო პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს, მასწავლებლები და კადეტები აქტიურად მონაწილეობენ




ეროვნულ ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში, დაჯილდოვებულნი არიან უამრავი დიპლომებით, სიგელებით და მადლობის წერილებით. ლიცეუმს ჰყავს კვალიფიციური მასწავლებლები და სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც გუნდური წესით მუშაობენ, რაც კადეტთა წარმატებებს განაპირობებს, კურსდამთავრებულთა 98% წარმატებით აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს და უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხება.

2016 წელს კი მოსწავლეთა მიღების წესში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. გადაწყდა, რომ ლიცეუმში გოგონებიც ისწავლიდნენ. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლების არსებობის მანძილზე. ამჟამად ლიცეუმში 293კადეტი სწავლობს, მათ შორის 32 გოგონა.

**2017 წლისათვის ლიცეუმს უკვე ჰყავს 6 გამოშვება. კადეტები ირიცხებიან, როგორც ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, აგრეთვე აშშ-სა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო აკადემიებში, რასაც ხელს უწყობს ლიცეუმში შექმნილი სპეციალური პროგრამები (TOEFL, SAT და თურქული ენა)**

# საერთაშორისო დონის განათლება და სწავლის სრული დაფინანსება თავდაცვის სამინისტროს მიერ!

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია წარმოადგენს წამყვან სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის ერთგული, ღირსეული სამსახურისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბებას.**




### ისტორია

საქართველოში სამხედრო სასწავლებელს საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ზუსტად 152 წლის წინ თბილისის სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი მიიღო. მას შემდეგ, ქვეყანაში სამხედრო განათლების კუთხით ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში პირველი ქართული სამხედრო სასწავლებლის შექმნას წინ უძღვოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის გადაწყვეტილება იუნკერთა სამხედრო სკოლის შექმნის შესახებ. სამწუხაროდ, სკოლამ მხოლოდ სამი წელი იარსება. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შედეგად, იუნკერთა სამხედრო სკოლა წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, მოგვიანებით კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა.

მართალია იუნკერთა სამხედრო სკოლამ ვერ შეძლო ქართველ ოფიცერთა პირველი ნაკადის გამოშვება, თუმცა სკოლის არსებობამ ნათელი გახადა ქვეყანაში ეროვნული სამხედრო სასწავლებლის არსებობის აუცილებლობა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მაღალკვალიფიციური და განათლებული ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რამაც 1993 წლის 28 მაისს საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემიის შექმნა განაპირობა. აკადემიამ მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის 1 სექტემბერს მიიღო. სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულ ახალგაზრდებს „კურსანტები“ ეწოდათ, რომელიც მალე „მსმენელით“ შეიცვალა. მოგვიანებით, სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, შემდგომ კი ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2014 წლიდან აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ. 2003 წელს თავდაცვის ეროვნულ აკადემიას დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა და სასწავლებლის დისლოკაციის ადგილად გორი განისაზღვრა.

### რეფორმების ახალი ეტაპი

2010 წლიდან აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთლიანი სისტემა მოიცვა. 2010 წლის 8 დეკემბერს, თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ეროვნული თავდაცვის აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა. აკადემიას ასევე მიღებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

ეროვნული თავდაცვის აკადემია ამიერკავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც თანამედროვე მეთოდებით, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი ოფიცრების მომზადებას უზრუნველყოფს. განვითარებული, წარმატებული და მაღალი ზნეობრივი შეგნების მქონე ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბება ეროვნული თავდაცვის აკადემიის ძირითადი პრიორიტეტია.
დღეს, აკადემიაში ფუნქციონირებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი: მენეჯმენტის, ინფორმატიკისა და თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებების სახით. ეროვნული თავდაცვის აკადემია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე სამხედრო პერსონალს და სამოქალაქო პირებს საშუალებას აძლევს გაიარონ ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი ან რეზერვის ოფიცერთა მომზადების კურსი და მიიღონ ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლება. აკადემიაში ასევე ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენაში მომზადების პროგრამები, რაც უზრუნველყოფს არაქართულენოვანი მსმენელებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარებას.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე უფროს ოფიცრებს საშუალება ეძლევათ გაიარონ აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სამეთაურო-საშტაბო კურსი და აიმაღლონ პროფესიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები. სამეთაურო-საშტაბო კურსი წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ სამხედრო პროფესიული განათლების უმაღლეს საფეხურს. სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს, განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებული „თავდაცვის ანალიზის“ სამაგისტრო პროგრამის სახით.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მთავარი მიზანია ისეთი კვალიფიციური ოფიცრების მომზადება, რომლებიც სამოქალაქო მიმართულებითაც ისეთივე წარმატებით შეძლებენ მოღვაწეობას, როგორც სამხედრო სფეროში. განათლებული ოფიცერი ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს.

### ინფრასტრუქტურა და რესურსები

ეროვნული თავდაცვის აკადემია განთავსებულია კეთილმოწყობილ და თანამედროვე სტანდარტებით აგებულ ბაზაზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სწავლის, განვითარების, ფიზიკური წრთობისა და დასვენებისთვის. აკადემიაში ფუნქციონირებს




სხვადასხვა სპორტული სექცია და თვითშემოქმედების წრე. იუნკერებსა და მსმენელებს, ასევე საშუალება აქვთ აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის თანამედროვე ინფრასტრუქტურა საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობას იძლევა. აკადემიაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი, სამხედრო, აკადემიური და საკითხავი ლიტერატურით (20000-ზე მეტი წიგნი ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე) მდიდარი ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და საგამოცდო ცენტრი. აკადემიის კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი, სპორტული დარბაზი და სარეკრეაციო ზონა თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებას იძლევა.
ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური და სამხედრო მიმართულებების ინტეგრირებული პროგრამები, კვალიფიციური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სამხედრო ინსტრუქტორები, მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურა, სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები სამხედრო და სამოქალაქო განათლების მიღების მყარ წინაპირობას ქმნის.






# ღირსეული პასუხი ჰიბრიდულ გამოწვევებს!
## სწავლება მედიის წარმომადგენელთათვის




2017 წლის 27 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. სენაკის მეორე ქვეითმა ბრიგადამ ქართული მედიის 18 წარმომადგენელს უმასპინძლა. მედიასაშუალებებით, გამოცდილებით, ინტერესებით განსხვავებული ახალგაზრდები ერთმა საერთო მიზანმა გააერთიანა - პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა კრიზისულ სიტუაციაში.

27 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე ვარდების მოედნიდან ჟურნალისტებით სავსე ავტობუსი სენაკის მიმართულებით დაიძრა. დაახლოებით, 4 საათიანი მარშრუტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეორე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე მისულ მედიის წარმომადგენლებს ერთმანეთი კარგად გაეცნოთ და სიმულაციურ მედიაცენტრში ჯგუფებად, თავიანთი სურვილით გადანაწილებულიყვნენ.

„ღირსეული პასუხი 2017“ ოფიციალურად 28 სექტემბერს გაიხსნა. სწავლების წინამოსამზადებელი პერიოდი ორ, თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს მოიცავდა. ორ დღიანი თეორიული კურსის განმავლობაში 11 სპიკერი განსხვავებული თემითა და გამოცდილებით ერთმანეთს ენაცვლებოდა. თეორიული ნაწილი ჟურნალისტებისთვის საინფორმაციო და ჰიბრიდული ომის, დეზინფორმაციის, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისა და პროპაგანდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობდა. ქართველი ექსპერტების გარდა, ლიტვის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეებს პროპაგანდასთან ბრძოლისა და სამხედრო მედიის ურთიერთობების სფეროში საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.




პრაქტიკული ნაწილი კი მონაწილეებისათვის პირველადი დახმარებისა და თვითგადარჩენის ტრენინგებს მოიცავდა, რომლებიც ექსტრემალური და არაპროგნოზირებადი კრიზისისა და ომის დროს სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია. სწავლების დაწყებამდე, მონაწილეები სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის სპეციფიკას, ოპერაციულ პრინციპებს კონფლიქტურ სიტუაციებში, სტრესის მართვას, ჰიბრიდულ ომს, პროპაგანდასთან ბრძოლის მეთოდებს, ასევე თვითგადარჩენისა და პირველადი დახმარების პრაქტიკულ გამოცდილებას გაეცნენ.
სწავლება, ისევე როგორც წინა მოსამზადებელი პერიოდი ორ, კომპიუტერზე დაფუძნებულ და საველე კომპონენტებს მოიცავდა. მისი აღსრულება რეალური გარემოს სიმულაციურ გათამაშებას გულისხმობდა. მონაწილეებს ურთიერთობა უნდა დაემყარებინათ არც თუ ისე მეგობრულ “გამთამაშებლებთან“, რომლებიც მათ საჭირო ინფორმაციას აწვდიდნენ. ჟურნალისტები იძულებულნი იყვნენ „ტროლებით“ სავსე რთულ და მტრულ საინფორმაციო სივრცეში გზა გაეკვლიათ. ამგვარი საინფორმაციო პროცესის მიზანს კი მონაწილეების შეცდომაში შეყვანა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა წარმოადგენდა.

სწავლების საველე კომპონენტის დროს, რეპორტიორები ჩართულნი იყვნენ სიმულაციურ 24 საათიან კონვენციურ ომში, სადაც მათ თეორიული ნაწილის დროს მიღებული ცოდნა უნდა გამოეყენებინათ.

მედია სწავლება „ღირსეული პასუხი 2017“ ოფიციალურად 2 ოქტომბერს დასრულდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ სწავლებაში მონაწილე ჟურნალისტებს სერტიფიკატები გადასცა.

პროექტის დასასრულს მონაწილეებმა და საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა პროექტი შეაჯამეს და ერთმანეთს რეკომენდაციებიც გაუზიარეს.



# გახდი ჯარისკაცი!
# მიღება საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2017 წლის 9 ოქტომბრიდან შეიარაღებულ ძალებში იწვევს 18 დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეებს და 4 წლიანი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გავლას სთავაზობს.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 4 წლიანი კონტრაქტით მიიღებიან საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომლებსაც არ გაუვლიათ სამხედრო სავალდებულო სამსახური, იმყოფებიან წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და არ შესრულებიათ 27 წელი;

ბ) რეზერვში მყოფ რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა (მიჩმანთა) პირადი შემადგენლობა 35 წლამდე.

სამხედრო მოსამსახურეები ოთხი წლის განმავლობაში მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ. სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მყოფი პირის თანამდებობრივი სარგოს რაოდენობა იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით. ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან თანამედროვე აღჭურვილობით, მაღალი დონის უფასო სამედიცინო მომსახურებით, ასევე მათი და მათი ოჯახების სოციალური და სამართლებრივი დაცვით. მაღალი ანაზღაურების გარდა, საკონტრაქტო სამხედრო სამსახური კარიერული ზრდის საშუალებასაც იძლევა. სამხედრო მოსამსახურეს ასევე შეუძლია პროფესიული მომზადების დონე უცხოელი და ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით აიმაღლოს, აითვისოს უცხო ენა და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ოპერაციებში.

იმისთვის, რომ გახდეს რეკრუტი, მოქალაქე აბარებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს; ასევე გადის სამხედრო სამედიცინო კომისიას. რეკრუტი ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების 10 კვირიან კურსზე (BCT – Basic Combat Training). შერჩეული კანდიდატებისათვის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი დაიწყება 2018 წლის 19 თებერვლიდან. სპეციალურ პროგრამაზე ჩარიცხვის დღიდან რეკრუტი უზრუნველყოფილია კვებით, სამხედრო ფორმით (საველე აღჭურვილობით), სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და განთავსებით.

10 კვირიანი კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში რეკრუტი ქვედანაყოფში თანამდებობაზე ინიშნება. საწყისი საბრძოლო მომზადების სპეციალურ კურსზე რეკრუტი ელემენტარულ სამხედრო უნარ-ჩვევებს ეუფლება და მომზადებას გადის სამხედრო დისციპლინებში:

1. ტაქტიკური მომზადება;

2. სამხედრო-საინჟინრო მომზადება;

3. მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვა;

4. ზოგადი საკითხები;

5. ფიზიკური მომზადება;

6. სამხედრო-სამედიცინო მომზადება (თეორია და პრაქტიკა);

7. საერთო საჯარისო წესდებები/სამხედრო კანონები;

8. სამწყობრო მომზადება;

9. კავშირგაბმულობა;

10. საცეცხლე მომზადება (თეორია და პრაქტიკა);

11. სამხედრო ტოპოგრაფია.

განცხადების ჩაბარებისას მოქალაქემ თან უნდა იქონიოს:

1. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

2. ფოტოსურათი 3X4 - 2 ცალი;

3. სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი;

4. დაბადების მოწმობის ასლი.

საკონტრაქტო სამსახურისათვის კანდიდატების შერჩევის პერიოდში მოქალაქეს აქვს კანდიდატის სტატუსი, რომლის დროსაც წარმოადგენს საბუთებს პირადი საქმის შესადგენად:

1.ნამსახურების ნუსხა (გაიცემა სამხედრო განყოფილებაში);

2. გასაწვევი პირის განცხადება;

3. ანკეტა (შეივსება სამხედრო განყოფილებაში);

4. ავტობიოგრაფია (ხელნაწერი და დაბეჭდილი);

5. დაბადების მოწმობის ასლი;

6. პირადობის მოწმობის ასლი;

7. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;

8. ქორწინების (განქორწინების) მოწმობის ასლი;

9. შვილების დაბადების მოწმობის ასლი;

10. ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები;

11. მართვის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

12. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამხედრო ჰოსპიტალის მიერ გაცემული);

13. ცნობა პროფილაქტიკური აცრების შესახებ („MMR"-წითელა, წითურა, ყბაყურა: „TD"-ტეტანუსი-დიფტერია);

14. ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (ლაბორატორიულად შემოწმებული);

15. ცნობა ნასამართლობის შესახებ;

16. ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან (სახელმწიფო გასაცემლების შესახებ);

17. შრომის წიგნაკის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

18. მიღებული სერტიფიკატის ასლი;

19. სამხედო ბილეთი ან წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა (ასლი და დედანი);

20. ფოტოსურათი 3X4 - 4 ცალი (ფერადი და ელექტრონული ვერსია CD).

საბუთების მიღება წარმოებს 2017 წლის 9 ოქტომბრიდან 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, ქ. თბილისში მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი"-ს ბაზის ტერიტორიაზე.

ტელ: 595 050685; 595 050673.

**ონლაინ რეგისტრაციისთვის: onlinebct.mod.gov.ge**

**#გახდიჯარისკაცი**

**#ემსახურესაქართველოს**

# ფოტო ამბავი

## ქართველი ჯარისკაცები ბორჯომის ხეობის დასაცავად














გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს რკინიგზას

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო